აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №14

20/10/2020 წელი **ქ. ბათუმი**
17[30]საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, სოფიო კახაძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნავა, ირაკლი გვარამია, კობა გაბაიძე, რამაზ ფირცხალაიშვილი, და დავით ქარცივაძე.

არ ესწრებოდნენ: ტარიელ გოგიტიძე, კახაბერ ჯაიანი და დავით ჯინჯოლავა.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. **განკარგულება**
საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე;

2. **სხვადასხვა.**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. **განკარგულება**
საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე.

1. განკარგულება
საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის თაობაზე.

მოისმინეს: ხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესის დაკვირვების უფლება აქვთ უსკოს განკარგულებით დანიშნულ კომისიის წევრებს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის უსკოს მიერ რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებს, სხდომაზე დამსწრე დამკვირვებელ ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „ახალგაზრდული უმაღლესი საბჭო“ წარმომადგენელს თემურ ქარცივაძეს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა - ხომ არ აქვს სურვილი დაესწროს მათი ორგანიზაციის დამკვირვებელი ბიულეტენის ბეჭდვის პროცესს. თემურ ქარცივაძემ განაცხადა, რომ თვითონ დაესწრებოდა დამკვირვებლის სტატუსით ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესს. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ უსკოს მხრიდან უსკოში რეგისტრირებული სადამკვირვებლო ორგანიზაციები ინფორმირებული იყვნენ ბიულეტენის დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების შესახებ, მაგრამ მათი მხრიდან უსკოში რაიმე წინადადება ბიულეტენის ბეჭდვაზე დაკვირვების შესახებ არ შემოსულა, რის შემდეგაც სხდომაზე მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ბიულეტენის ბეჭდვის პროცესს კომისიის წევრებიდან დააკვირდებოდნენ უსკოს წევრი - ირაკლი გვარჯალაძე და ტარიელ გოგიტიძე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	9;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 63-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-60 მუხლისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. 2020 წლის 31 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებლებად დაინიშნონ:

ა. ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;
ბ. ტარიელ გოგიტიძე - უსკოს წევრი;
გ. თემურ ქარცივაძე - სადამკვირვებლო ორგანიზაცია ა.(ა).ი.პ. „ახალგაზრდული უმაღლესი საბჭო".

2. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, დაევალოს უსკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას ამ განკარგულების მიღებიდან 2 დღის ვადაში გამოაქვეყნოს მონაცემები საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვის ადგილისა და ბიულეტენების დაბეჭდვაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**